თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ირაკლი ღარიბაშვილი:

## „ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა არ არის საქართველოს საბოლოო მიზანი“

საქართველოს და ევროკავშირს შორის ისტორიული ხელშეკრულება გაფორმდა

იხილეთ მე-2 გვერდზე



№22 (710) 30 ივნისი - 6 ივლისი, 2014 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

# „ფეროს“ მუშები სასმელ წყალს ითხოვენ



იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის დაჟინებული მოთხოვნით, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, განმეორებით 21მაისს შემოყვანილი იქნა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, რათა კვლავ შეემოწმებინათ სასმელი წყლის ვარგისიანობა, აღნიშნულ ექსპერტიზაზე წარდგენილი წყლის ნიმუში, გამოკვლეული მიკრობიოლოგიური პარამეტრების მიხედვით, არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის №58 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა, წინამდებარე დასკვნასთან შედარებით, მეტად სახიფათოა, რადგან მომატებულია ყველა ის მაჩვენებელი, რაც ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას და აგრეთვე აღმოჩენილია ნაწლავური ჩხირები.

ყოველივე ამის გამო, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის №4 საამქროს თანამშრომლებმა 25 ივნისს, დილის 8 საათზე, უარი თქვეს სამუშაოს შესრულებაზე ალტერნატიული წყლის მოთხოვნით, მუშაობა განახლდა მას შემდეგ, რაც ადმინისტრაცია, კერძოდ, საამქროს უფროსი დაჰპირდა მშრომელებს, რომ უზრუნველყოფილი იქნებიან აღნიშნული ალტერნატიული სასმელი წყლით, პირობის დარღვევის შემთხვევაში მუშები კვლავ გამართავენ საპროტესტო აქციას.

იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ჩართულობით საწარმოში მიმდინარეობს სხვადასხვა ლაბორატორიების მიერ სინჯების აღება სასმელ წყალზე, რისი შედეგებიც მოგვიანებით გახდება ცნობილი.

**ნესტან ჩაგელიშვილი**

psnews.ge

## როგორია საქართველოს აგრარული პოლიტიკა

ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარესთან, გიგლა აგულაშვილთან



იხილეთ მე-4 გვერდზე



## ვინ და რა „დიაგნოზი“ დაუსვა ქუთაისის წყალმომარაგებას

იხილეთ მე-5 გვერდზე

საკანვორდი — გვ. 7 კროსვორდი — გვ. 7

### სერტიფიცირებული პედაგოგები დანამატს დაუბრკოლებლად მიიღებენ

იხილეთ მე-3 გვერდზე

### ბურუსით მოცული საპენსიო მომავალი და ქვეყანა არჩევნებიდან არჩევნებამდე

ქართველი ხალხის ნება თუ პოლიტიკური სურვილების დაკმაყოფილება

იხილეთ მე-2 გვერდზე

### რატომ მალავენ რეპეტიტორები მოსწავლეებს

„ახალი რეფორმით, სკოლაში მხოლოდ წერა-კითხვა ისწავლება...“

იხილეთ მე-3 გვერდზე

### „ითესება, იმარგლება, ისმევა და არ იჭმევა...“

რას საქმიანობს ინტელექტუალები „რა? სად? როდის?“

იხილეთ მე-5 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“;
ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

## ასოცირების ხელმოწერამდე ერთი დღით ადრე რუსეთი საქართველოს და უკრაინას დაემუქრა

**უკრაინისა და საქართველოს ევროინტეგრაციის საპასუხოდ მოსკოვი ადეკვატური ზომების მიღებით იმუქრება.**

საგანგებო განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკეთა. სერგეი ლავროვის თქმით, რუსეთი მზადაა უკრაინასთან, მოლდოვასა და საქართველოსთან ამ თემებთან დაკავშირებით კონსულტაციები აწარმოოს, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ეს ქვეყნები ასოცირების ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ და ეს რუსეთის ეკონომიკაზე ნეგატიურად აისახება, მოსკოვი დამცავ ზომებს მიიღებს.

„ჩვენ არამხოლოდ მზად ვართ, არამედ მოვუწოდებთ მათ მოლაპარაკებებისკენ. ბაროზო ჩვენს პრეზიდენტს სატელეფონო საუბრისას დაჰპირდა კიდეც, რომ სამიტამდე აუცილებლად გაიმართებოდა კონსულტაციები, მაგრამ ჯერ არაფერი ხდება,“ — აღნიშნა სერგეი ლავროვმა.

როგორც რუსეთის პირველი დიპლომატი აცხადებს, საქართველო დესეთეს წევრი ქვეყანა აღარ არის, თუმცა რუსეთთან გარკვეული სავაჭრო-ეკონომიკური შეთანხმებები დღემდე აკავშირებს.

თუ რა დამცავი ზომები იგულისხმა ლავროვმა, ამის შესახებ ინფორმაციის დაზუსტებას ზურაბ აბაშიძე კარასინთან დაგეგმილ შეხვედრაზე შეეცდება.

ქართულ-რუსული მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდი 10 ივლისს არის დაგეგმილი, თუმცა მანამდე საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში რუსეთის მხრიდან გარკვეული ზომების მიღებას არ გამორიცხავს.

cp.ge

### ირაკლი ღარიბაშვილი:

# „ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა არ არის საქართველოს საბოლოო მიზანი“

## საქართველოს და ევროკავშირს შორის ისტორიული ხელშეკრულება გაფორმდა

**27 ივნისს საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებას ხელი მოეწერა. 1 135-გვერდიან დოკუმენტს ხელი მოაწერეს — საქართველოს მხრიდან ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ევროკავშირის მხრიდან — ევროკომისიის პრეზიდენტმა, ჟოზე მანუელ ბაროზომ და ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა, ჰერმან ვან რომპეიმ.**




საბოლოო ჯამში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებას ორგანიზაციის 28-ვე წევრი ქვეყნის პირველი პირის ხელმოწერა აქვს.

ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე მისი რატიფიცირება საქართველოს, ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნის პარლამენტებმა, ასევე ევროპარლამენტმა უნდა განახორციელონ. პირველი ამ სიაში ლატვია იქნება, რომელიც ხელშეკრულების რატიფიცირებას 3 ივლისს მოახდენს. ივლისში გეგმავს დოკუმენტის რატიფიცირებას საქართველოს პარლამენტიც. ხელშეკრულების სრულად ძალაში შესვლა 2015 წლისთვის არის ნავარაუდევი, თუმცა უკვე მიმდინარე წლის შემოდგომაზე წინმსწრებად ამოქმედდება შეთანხმების ნაწილი, მათ შორის DCFTA — ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება.

ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის ცერემონიის დასრულების შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პრესკონფერენცია გამართა და 27 ივნისის თარიღის ისტორიულ მნიშვნელობაზე ისაუბრა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელშეკრულება არის ქვეყანაში მნიშვნელოვანი ცვლილებების საფუძველი, რომელთა მიზანიც უკეთესი მომავლის უზრუნველყოფაა.

„საქართველოსთვის კარი უკვე გაღებულია, დღევანდელი ხელმოწერა ამის ნათელი დემონსტრაციაა. ეს არის ჩვენი ძირითადი სამოქმედო გეგმა ევროპეიზაციისა, მოდერნიზების გენერალური გეგმა. ეს დამოკიდებულია რეფორმებზე და ჩვენ ვიკისრეთ რეფორმების განხორციელების ვალდებულება. რამდენად სწრაფად განვახორციელებთ რეფორმებს, რომ დავაკმაყოფილოთ მოთხოვნები. ეს დამოკიდებულია ჩვენზე, შეიძლება ვთქვათ 5-10 წელიწადი, ეს დამოკიდებულია იმ პროგრესზე, რომელსაც საქართველო მიაღწევს. ჩვენ ამ რეფორმების განხორციელების ვალდებულება ავიღეთ, რომ მაქსიმალურად ახლოს მივიდეთ ევროკავშირის სტანდარტებთან. ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ გავხდეთ ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი,“ — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეს, რომელიც ასოცირების შეთანხმების განუყოფელი ნაწილია. „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე ქართულ პროდუქციასა და მომსახურებას გზას გაუხსნის მსოფლიოში ყველაზე დიდი და დინამიკურად მზარდი ბაზრისაკენ, ყოველგვარი ტარიფებისა და კვოტების გარეშე. ევროპული სტანდარტების, კერძოდ კი, ხარისხის სტანდარტების დანერგვა კიდევ უფრო გააუმჯობესებს ბიზნესისა და საინვესტიციო გარემოს ჩვენს ქვეყანაში, რაც საბოლოოდ მოიტანს მეტ ინვესტიციებს, ახალ სამუშაო ადგილებს და დადებით როლს ითამაშებს სოციალური კეთილდღეობის ამაღლებაში,“ — განაცხადა პრემიერმა.

საქართველოს მთავრობის მეთაურის განმარტებით, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა არ არის საქართველოს საბოლოო მიზანი, ის მხოლოდ ევროპისკენ მიმავალი გამოწვევებით აღსავსე გზის დასაწყისია.

„ჩვენ მზად ვართ, მივყვეთ ამ გზას და ევროკავშირთან ერთად უზრუნველვყოთ ჩვენი მომავალი ევროპულ ოჯახში,“ — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მანვე ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვას უპასუხა და განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობის სურვილია, ოს და აფხაზ ძმებს გაუზიაროს სარგებელი, რის შესაძლებლობასაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება იძლევა.

„რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიებს, ვფიქრობ, ძალიან ნათლად განვაცხადებ გავუგზავნე ჩვენს ძმებსა და დებს ნათელი მესიჯები, რომ კარი ღიაა, მათაც ექნებათ შესაძლებლობა, მიიღონ სარგებელი ასოცირების ხელშეკრულებისგან, თავისუფალი სავაჭრო ზონისა და გამარტივებული სავიზო რეჟიმისგან. ვფიქრობ, ეს არის ძალიან ნათელი გზავნილი, რომ ხელშეკრულება დიდ შესაძლებლობებს აძლევს მათაც და ჩვენი სურვილია, გავუზიაროთ მათ ეს სარგებელი,“ — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

kvira.ge

# ბურუსით მოცული საპენსიო მომავალი და ქვეყანა არჩევნებიდან არჩევნებამდე

## ქართველი ხალხის ნება თუ პოლიტიკური სურვილების დაკმაყოფილება

**პოლიტიკურად ცივი არასდროს ყოფილა ჩვენი ქვეყანა და ეს ზაფხული ხომ ამის უტყარი დასტურია. 15 ივნისის არჩევნები ვისთვის კარგი შედეგებით დაიდო და ვისთვის გამაკვირვებელი, მაგრამ ზოგადად მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ამ არჩევნებს ბევრმა ხელი აუქნია „წადი, თქვენის...“ ძახილით. გვინდა, არ გვინდა, ამის თვალნათელი მაგალითი უკვე ვიხილეთ. დღეს კი ქართული საზოგადოება ისევ არჩევნების მეორე ტურის მოლოდინშია. ის ფაქტი, რომ ამ არჩევნებზე მეორე ტური გარდაუვალი იყო, ცხადად ჩანდა, მაგრამ მმართველი გუნდისთვის ეს, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი აღმოჩნდა.**

წინ ცხელი ივლისია, ცხელი მეორე ტურით. თვითმმართველ ქალაქებს შორის ქუთაისი კი ერთ-ერთი ქალაქი აღმოჩნდა, სადაც მეორე ტური საჭიროებას არ წარმოადგენს. ქალაქის მცხოვრებელთა 50%-მა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარებს და ქალაქის მომავალ მერს. შოთა მურღულიას გამარჯვება აგემა.

შეგახსენებთ, კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატმა მერის არჩევნებში პირველივე ტურში 12თვითმმართველი ქალაქიდან მხოლოდ ოთხში — ახალციხეში, ამბროლაურში, ქუთაისსა და ზუგდიდში გაიმარჯვა, დანარჩენ 8 ქალაქში, ცესკო-ს მონაცემებით, არჩევნების მეორე ტური უნდა გაიმართოს.

ქართველ ხალხს რომ ეს არჩევნები წყევლად ექცა, ეს თვალნათელია. როგორც ფინანსთა მინისტრი აცხადებს, მეორე ტურისთვის, დაახლოებით, 5 მილიონი ლარი დაიხარჯება.

„წინასწარი გაანგარიშებით, არჩევნების მეორე ტური, დაახლოებით, 5 მილიონი ლარი დაჯდება. 1600000 ლარზე მეტი ცესკო-ს ანგარიშზე ნაშთი დარჩა, რომელსაც ის გამოიყენებს. დამატებით ამ ეტაპზე გამოვყოფთ 3 მილიონ ლარს. არჩევნების დასრულების შემდეგ, ცხადია, შესაბამის გადაწყვეტილებებს მივიღებთ,“ — განმარტა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

მმართველი გუნდი მეორე ტურის გამარჯვების პროგნოზს უკვე აკეთებს... ბიუჯეტს კი ამ არჩევნებმა წყალი შეუყენა, მაშინ, როცა ხალხი ისევ უმუშევრობას, პურის ფულს და გაჭირვებას უჩივის, მილიონობით თანხა არჩევნებიდან არჩევნებში იხარჯება. „პოლიტიკური ხუშტურების“ თამაშს კი, როგორც ჩანს, საქართველოში ბოლო არ უჩანს.

ცხადია, იბადება კითხვა: „რა შეცვალა ორწლიანმა ახალმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ?“ პასუხი მარტივია... გვყავს ახალი პოლიტიკური სახეები (თუმცა, არც ისე ახალი), პორტირებული პოლიტიკოსები და ყველაზე მთავარი „უფლებებშეზღუდული“ პრეზიდენტი, რომელიც მხოლოდ პრეზიდენტის სახელის მატარებელია.

არჩევნების მეორე ტურთან ერთად კი, წინ ახალი საპენსიო რეფორმა გველოდება, რომლის არსსაც ჯერ კიდევ ვერ ჩაწვდა „შეშინებული“ მოსახლეობა.

„დაგროვებითი პენსიის თანამედროვე მოდელზე გადასვლაზე ინფორმაცია ერთი წლის წინ გაჟღერდა, ჩემთვის გაუგებარია, რატომ დასჭირდა ამ საკითხის მოგვარებას ამდენი ხანი. ამ დროისთვის საკონსულტაციო და ანალიტიკური სამუშაოები მიმდინარეობს მსოფლიო ბანკთან. განიხილება დაგროვებითი პენსიის რამდენიმე მოდელი.

შერჩეული იქნება ეფექტური მოდელი, რომელიც თავდაპირველად საპილოტე ვერსიად განხორციელდება და გარკვეულ ჯგუფზე ვიმუშავებთ. რა თქმა უნდა, ეს მოხდება ნებაყოფლობით. არ ვამბობთ, რომ ქვეყანა ამ მოდელზე წლის ბოლოს გადავა. მხოლოდ და მხოლოდ შედეგების გადაფასების შემდეგ მოხდება დაგროვებითი პენსიის მოდელზე ქვეყნის გადასვლა, ეს ყველაფერი მოხდება ისე, რომ მოსახლეობის დაზარალების ყოველგვარ საშიშროებას თავიდან ავიცილებთ,“ — ეს განცხადება ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ქუთაისში სტუმრობისას გააკეთა. ასეთმა შეფასებამ კი უფრო ბევრი კითხვა გააჩინა, ვიდრე პასუხები გასცა, რითიც ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა საპენსიო მომავლის ბურუსშიც აღმოჩნდა.

**ლიკა ჩახუნაშვილი**

**მთავარი რედაქტორი:** ნატო გუბელაძე

**დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი

**ოპერატორი და კორექტორი:** ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

**R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

**გამომცემელი** — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401

გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი:
**UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)**
**პ - 658**
**P - 86**

**მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

# ერთიანი ეროვნული გამოცდები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს

**ერთიანი ეროვნული გამოცდები 26 ივნისს დაიწყო.**



საგამოცდო ცენტრებთან მისასვლელად აბიტურიენტებისთვის სპეციალური მარშრუტებია დანიშნული. ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ხანგრძლივობა 4 საათი იყო.

საგამოცდო ტესტების გამოტანა დილით, დაცული საცავებიდან განხორციელდა. დედაქალაქში ტესტები ეროვნული ბანკის შენობაშია დაცული ხოლო რეგიონებში, პოლიციის შენობებში. ტესტების საგამოცდო ცენტრამდე უსაფრთხოდ მიტანის პროცესს საპატრულო პოლიცია აკონტროლებს.

უსაფრთხოების მიზნით, ყველა საგამოცდო ცენტრთან მობილიზებულია სასწრაფო სამედიცინო დახმარების, პოლიციისა და სახანძრო სამსახურის ბრიგადები. რაც შეეხება მედიაცენტრს, მედიაცენტრი დილის 10:00 საათიდან გამოცდების ეროვნულ ცენტრის შენობაში მუშაობს (მინდელის №9).

2014 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს სულ 1500-მდე მეთვალყურე და კურატორი დააკვირდება.

2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების განრიგი ასეთია:

26-27 ივნისი (პირველი სესია 8:00 სთ. მეორე სესია 14:00 სთ.) — ქართული ენა და ლიტერატურა;

30 ივნისი და 1 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ. მეორე სესია 14:00 სთ.) — ზოგადი უნარები;

**უცხოური ენა:**

2 ივლისი (მეორე სესია 15:00 სთ.) — ინგლისური ენა;

3 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ. მეორე სესია 14:00 სთ.) — ინგლისური ენა;

4 ივლისი (მეორე სესია 15:00 სთ.) — რუსული ენა;

4 ივლისი (მეორე სესია 15:00 სთ.) — გერმანული ენა;

4 ივლისი (მეორე სესია 15:00 სთ.) — ფრანგული ენა;

8 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ.) — ლიტერატურა;

9 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ. მეორე სესია 14:00 სთ.) — გეოგრაფია;

10 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ. მეორე სესია 14:00 სთ.) — ისტორია;

11 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ. მეორე სესია 14:00 სთ.) - მათემატიკა;

14 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ.) — ქიმია;

14 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ.) — სტუდენტთა საგრანტო კონკურსი;

15 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ.) — ბიოლოგია;

16 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ.) — ფიზიკა;

16 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ.) — სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

**2014 წლის მთავარი სიახლეები:**

წელს აბიტურიენტებს საშუალება აქვთ არჩევით საგნად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაც ჩააბარონ; უცხოური ენის გამოცდას დაემატა მოსმენის ნაწილი; ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზღვრის გადალახვის ახალი მიდგომის პროექტის შემუშავდა: პროექტის მიხედვით ცვლილების განხორციელება შესაძლებელი გახდება ზოგად უნარებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მხოლოდ 3 ქულით გაზრდის შემთხვევაშიც;

შეიცვალა გრანტის განაწილების წესი: 8 არჩევითი საგნიდან 4 არის ჰუმანიტარული და 4 მათემატიკური და საბუნებისმეტყველო. შესაბამისად, საგრანტო თანხა 9 მილიონნახევარი გაიყოფა 2 ნაწილად. მათგან კი ყველაზე მეტი თანხა წავა იმ საგნის ჯიბეში, რომელიც უფრო მოთხოვნადი იქნება უმაღლესი სასწავლებლების მიერ როგორც არჩევითი საგანი.

2014 წლისთვის სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსდება შვიდი მიმართულების 21 ფაკულტეტი (გასულ წელს 19 სპეციალობა დაფინანსდა).

ერთიანი ეროვნული გამოცდების პარალელურად, ჩატარდება საერთო სამაგისტრო გამოცდა, სტუდენტთა საგრანტო კონკურსი და პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდა. გამოცდები 16 ივლისს დასრულდება.

## სერტიფიცირებული პედაგოგები დანამატს დაუბრკოლებლად მიიღებენ

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მისამართით, უკანასკნელ პერიოდში მიმაზნიმართულად გავრცელდა სხვადასხვა შინაარსის არასწორი ინფორმაცია.**

ამჯერად სამინისტრო ეხმაურება ელექტრონულად და ანონიმურად საჯარო სკოლებში გავრცელებულ დეზინფორმაციას, რომლის თანახმად, თითქოს ზაფხულის არდადეგებზე საჯარო სკოლის სერტიფიცირებული პედაგოგები სასერტიფიკაციო დანამატს არ მიიღებენ. აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან ყველა სერტიფიცირებული პედაგოგი დანამატს დაუბრკოლებლად მიიღებს.

გაცნობებთ, რომ „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის №576 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-14 მუხლის შესაბამისად, მასწავლებელს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წლისა და არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის №84/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ არდადეგების პერიოდში უნარჩუნდება ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით გაანგარიშებული შრომის ანაზღაურება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მასწავლებელს კანონმდებლობით გათვალისწინებულ არდადეგების პერიოდში თანამდებობრივ სარგოსთან ერთად, უნარჩუნდება თანამდებობრივ სარგოზე კანონმდებლობით დადგენილი წესით გათვალისწინებული დანამატები.

სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების, რესურს-ცენტრებისა და სსიპ-ების წარმომადგენლებს ხაზგასმით შევახსენებთ, რომ ანონიმურად გავრცელებულ ინფორმაციას იურიდიული ძალა არ აქვს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 17 იანვრის №28 ბრძანებით თანახმადაც სისტემაში დასაქმებული პირები სამსახურებრივ მიმოწერას ახორციელებენ მხოლოდ შიდა კორპორატიული ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

## რატომ მალავენ რეპეტიტორები მოსწავლეებს

### „ახალი რეფორმით, სკოლაში მხოლოდ წერა-კითხვა ისწავლება..."

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალი და არჩევანის თავისუფლების" თავმჯდომარემ ლია გვენეტაძემ საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემა გააკრიტიკა და განათლების სამინისტროსგან საჯარო სკოლის სტატუსის შეცვლა და მე-12 კლასის გაუქმება მოითხოვა. როგორც გვენეტაძემ 27 ივნისს გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, არსებულმა საგანმანათლებლო სისტემამ და სკოლებში ვაუჩერიზაციამ არ გაამართლა, რითიც დაზარალებული მოსწავლეები რჩებიან.**

„სამწუხაროდ, 2008 წელს მიღებულმა რეფორმამ არ გაამართლა და საქართველო, განათლების თვალსაზრისით, ბოლო ათეულში მოხვდა. ეს ყველაფერი გამოწვეულია საშუალო სკოლის საჯარო სკოლად გადაკეთებით და მე-12 კლასის დამატებით. ფაქტობრივად, მე-12 კლასში ბავშვები არაფერს სწავლობენ. ახალი რეფორმით, სკოლაში მხოლოდ წერა-კითხვა ისწავლება, რაც 10 წელიწადში მოგვცეს ისეთ ვითარებას, რომ საქართველოში კვალიფიციური კადრები აღარ იქნებიან," — განაცხადა გვენეტაძემ.

ლია გვენეტაძე სკოლებში არსებულ რეპეტიტორობის სისტემასაც შეეხო. მისივე განცხადებით, თუ მშობელს ფული არ აქვს, მისი შვილი უსწავლელი რჩება, რადგან ყველა საგანში მომზადებას ვერ ახერხებს, რითაც ირღვევა ბავშვის კონსტიტუციური უფლება – მიიღოს განათლება.

შეგახსენებთ, რომ საგანმანათლებლო კანონმდებლობით საჯარო სკოლების მასწავლებლებს ეკრძალებათ საკუთარი მოსწავლის რეპეტიტორობა, თუმცა, მიუხედავად არსებული აკრძალვისა, კანონდარღვევა ქუთაისის თითქმის ყველა საჯარო სკოლაში ხდება. რეპეტიტორები კი, საშემოსავლოს არ გადახდის მიზნით, მოსწავლეების მომზადების ფაქტებს მალავენ.

**ნესტან ჩაგელიშვილი**

psnews.ge

## ინფორმაციული, მაგრამ არა სიღრმისეული გაშუქება – მედიის წინასაარჩევნო მონიტორინგის შედეგები

რეგიონული ტელევიზიების უმეტესობამ 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის გაშუქებისას ყველაზე მეტი დრო სახელისუფლებო კოალიცია „ქართულ ოცნებას", ოპოზიციურ ბლოკ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას", ოპოზიციურ ბლოკ „ბურჯანაძე — ერთიან ოპოზიციას" და მათი მერობის კანდიდატებს დაუთმო, რომლებიც, ძირითადად, ნეიტრალურად შუქდებოდნენ. მათ შესახებ მომზადებული მასალები კი, ძირითადად, ინფორმაციული ხასიათის იყო და სიღრმისეულად არ შუქდებოდა. ეს ფონდი „ინტერნიუსი-საქართველოს" მიერ ჩატარებული მონიტორინგის ერთ-ერთი მთავარი მიგნებაა.

„ინტერნიუსი-საქართველო" 16 რეგიონული ტელევიზიის საღამოს ეთერში (19:00-24:00 საათი) გასულ საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებს 2014 წლის 12 მაისიდან 15 ივნისის ჩათვლით აკვირდებოდა. ანგარიშის მიხედვით, 2-15 ივნისის პერიოდში ტელეკომპანიათა ნაწილმა საარჩევნო თემატიკის გაშუქებას უფრო მეტი დრო დაუთმო, მათმა უმეტესობამ კი არჩევნების დღეს (15 ივნისს) საგანგებო რეჟიმში იმუშავა, თუმცა ტელეკომპანიების ნაწილს 15 ივნისამდე, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, მოახლოებული არჩევნებისა და მასში მონაწილე სუბიექტების შესახებ შემაჯამებელი მასალები არ მოუმზადებია. ტელეკომპანიების ეთერში გასულ ტოქშოუებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ გადაცემებში მიწვეულ სტუმრებს შორის პოლიტიკური ბალანსი, ძირითადად, დაცული იყო. წამყვანები კი ძირითადად, მოდერატორის ფუნქციას ასრულებდნენ. თუმცა, ტელეკომპანიათა ტოქშოუებში, უმეტეს შემთხვევაში, წამყვანთა დასმული კითხვები ხშირად ერთმანეთის მსგავსი იყო, კრიტიკულ შეკითხვებს იშვიათად სვამდნენ. ტოქშოუების ერთ-ერთ მთავარი ტექნიკური ხარვეზი იყო ის, რომ მათ არ ედო ტიტრები. ამასთანავე, ტელეკომპანიათა უმრავლესობაში, ტოქშოუების წამყვანები გადაცემისის დაწყებისას საკუთარ თავსაც არ წარადგენდნენ.

მონიტორინგის განმავლობაში კადრებით, ხმით, მუსიკით მანიპულირების შემთხვევები და „ფარული პოლიტიკური რეკლამის" ნიშნები არ გამოვლენილა, სიძულვილის ენის გამოყენების იშვიათი ფაქტები კი, ძირითადად, რესპონდენტების მხრიდან დაფიქსირდა.


## მომხმარებელთა დახმარების ცენტრები

გაიგე რას ჭამ!
მომხმარებლის უფლებების დაცვის საზოგადოებრივი მოძრაობა

**დაგაეჭვათ სურსათმა, რომელსაც მოიხმართ?**

- არასათანადო პირობებში იყიდება, ინახება ან გადაიზიდება;
- ვადაგასულია, ან მოხმარების ვადა გაუგებარია;
- გაფუჭებულია, დაბინძურებულია, ან სხვა მიზეზის გამო გამოუსადეგარია საკვებად;
- ეტიკეტი გაუგებარია, ან არა ხართ დარწმუნებული, რომ ის პროდუქტის შიგთავსს შეესაბამება

**მოგვმართეთ მომხმარებელთა დახმარების ცენტრებში!**

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ თქვენს მიერ აღმოჩენილი დარღვევა რაც შეიძლება სწრაფად აღმოიფხვრას.

ჩვენ დავათვალიერებთ თქვენს მიერ მითითებულ სასურსათო ობიექტს, შევიძენთ თქვენს მიერ დასახელებულ სურსათს, შევამოწმებთ მის ეტიკეტს და, შესაძლებლობის ფარგლებში, სურსათის ლაბორატორიულ შემოწმებასაც მოვახდენთ. გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციას გავუგზავნით სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ან სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებას, თავად მეწარმეებს, მედია-საშუალებებს, გამოვაქვეყნებთ ვებ-გვერდებზე და გავავრცელებთ სოციალური ქსელების მეშვეობით.

**დარეკეთ ცხელ ხაზზე!**

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

**თბილისი** — ტელ.: 219 42 42, momxmarebeli.ge, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი;

**ახალციხე** — ტელ.: 551 555 267, ელ-ფოსტა: mmakhaltsikhe@gmail.com, სამედიცინო ეკოლოგიის ასოციაცია;

**გორი** — ტელ.: 599 534 070, 598 544 053, ელ-ფოსტა: mmcshidakartli@gmail.com, საზოგადოება „ბილიკი";

**ქუთაისი** — ტელ.: 570 105 573, ელ-ფოსტა: momxmarebeli.kutaisi@greens.ge, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო.

მომხმარებელთა დახმარების ცენტრები მუშაობს პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაა „ევროკავშირთან დაახლოების გამჭვირვალე პროცესი: სანიტარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკა საქართველოსა და მოლდოვაში".

პროექტს ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით.

საკონტაქტო პირი: ლელა ბერძული, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამის თანაშემწე. ელ-ფოსტა: lberdzuli@epfound.ge ტელ.: 225-39-42/43, მისამართი: თბილისი, კავსაძის ქ. №3.

დამატებითი ინფორმაციისათვის პროექტის შესახებ შეგიძლიათ, ეწვიოთ ვებ-გვერდს: www.mkidveli.ge

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
SWEDEN

# როგორია საქართველოს აგრარული პოლიტიკა

## ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარესთან, გიგლა აგულაშვილთან

**საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა სოფლის მეურნეობის სფერო, მყისიერად გადაიდგა რამდენიმე ქმედითი ნაბიჯი და დაიგეგმა სტრატეგიული ცვლილებები. სოფლის მეურნეობა და მათ შორის, მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიმართულებებია და ფაქტია, რომ მისი განვითარების პერსპექტივა მთლიანად დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ნებაზე. არსებობს თუ არა ეს ნება და როგორია ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა საქართველოში, ამ საკითხებზე სასაუბროდ ჟურნალ „ღვინო"–ს პირველი ნომრის სტუმარია პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი გიგლა აგულაშვილი.**



გიგლა აგულაშვილი

### პროლოგის ნაცვლად

ბატონ გიგლასთან საუბარი მის მიერ განვლილი პროფესიული გზის გახსენებით დავიწყეთ. ის პროფესიით სამართალმცოდნეა. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და 2004 წლის დასაწყისამდე სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობდა, გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებებს ხელმძღვანელობდა. მან პრაქტიკული იურიდიული საქმიანობა 2005 წლის დასაწყისში დაასრულა, ხელისუფლების შეცვლის გამო, თუმცა ამბობს, რომ დღეს ამით უკმაყოფილო არ არის. სწორედ ამავე პერიოდიდან გიგლა აგულაშვილი რესპუბლიკური პარტიის წევრი ხდება და პოლიტიკურ საქმიანობაში ერთვება.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობისადმი ინტერესს, გიგლა აგულაშვილი გულწრფელად საუბრობს ამ საკითხზე: „აღმოვაჩინე, რომ სამყარო გაცილებით დიდია და არანაკლებ კარგი საქმეების კეთება შეიძლება პროკურატურის იქეთაც. სოფლის მეურნეობა ჩემი შეგნებული არჩევანი არის 2004 წლიდან, თუმცა, მანამდეც მიყვარდა და ახლაც მიყვარს მიწა და მცენარეები. მე თვითონ დავიწყე საქმიანობა ამ სფეროში წვალებით, გამოცდილების შეძენით, დაგროვებით, პრობლემებთან შეხებით და ა.შ. ცხოვრებაში რამდენიმე საქმეა, რაც სიამოვნებით მიკეთებია. ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებდა სტუდენტებთან ურთიერთობა, ეს ერთი და მეორე ის, რაც უკავშირდება სოფლის მეურნეობას.

### დიალოგი

**— ბატონო გიგლა, მოდით, ჩვენი საუბარი მთავარი თემით დავიწყოთ: როგორი არის აგრარული პოლიტიკის თქვენეული ანუ სახელმწიფოებრივი ხედვა, რა უნდა შეიცვალოს, რა უნდა შევინარჩუნოთ და რა არის გასაკეთებელი?**

–ასეთ შემთხვევაში პრობლემათა კასკადზე უნდა ვილაპარაკოთ, უნდა ვისაუბროთ სტრატეგიულ გეგმაზე სოფლის მეურნეობის სფეროში. ახლაც არის შექმნილი ასეთი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი, რომელიც მოკლევადიან პერსპექტივაში — 2020 წლამდე პერსპექტივებს ასახავს, თუმცა, მე ვისურვებდი, სტრატეგია გავთვალოთ უფრო შორეულ მომავალზე - ჩვენ უნდა დავინახოთ, სად ვართ და სად უდნა ვიყოთ, მაგალითად 2030-2050 წლისთვის.

რა მოცემულობები გვაქვს?! დღეს მთლიანი შიდა პროდუქტოს 9.5% იქმნება სოფლის მეურნეობაში, ეს არის დინამიური პროცესი და გასული წლის განმავლობაში ეს ზრდა ჩანდა, ტრენდი არი სტაბილური. ზრდა, ბუნებრივია, პოზიტიური მოვლენაა და ეს არა მხოლოდ სტატისტიკაში აღინიშნება, არამედ, ვიზუალურადაც ჩანს — პროცესი გაცოცხლდა, თუმცა, სამწუხაროა ის, რომ ამ მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-ს დასაქმებულთა, პრაქტიკულად, ნახევარი ქმნის. ეს არის ძალიან ცუდი მაჩვენებელი. შესაბამისად, სტრატეგიულ გეგმაში, ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების პარალელურად, მე ვისურვებდი, რომ არა დასაქმებულთა ნახევარს, არამედ, მაგალითად, 20%-ს შეენარჩუნებინა ეს მაჩვენებელი.

გასაგები რომ იყოს, მაგალითს გეტყვით. შვეიცარიაში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მხოლოდ 1%. ჩვენთან კი მხოლოდ მცირემიწიანი ფერმერი არის, დაახლოებით, 800 ათასი. აქ ფერმერში საოჯახო მეურნეობებს ვგულისხმობ. რადგან ცნება „ფერმერი" ჩვენთან არ მუშაობს და უბრალოდ ვხმარობთ ამ სიტყვას. რეალურად ეს არის შინა მეურნეობა.

**— და რამ გამოიწვია ამდენი ე.წ. ფერმერის გაჩენა სოფლის მეურნეობაში?**

– მოგეხსენებათ, 1992 წლის მიწის რეფორმის შემდეგ, როცა მოქალაქეებმა მიწის ნაკვეთები მიიღეს, ძალიან დაქუცმაცდა მიწის ფართობები. საშუალო საჰექტარო ფართობი არის 1.25 და ასეთი ფართობის მქონე გვყავს 800 ათასამდე. შვეიცარიის მაგალითი ვახსენე, 57 ათასი ფერმერია, ანუ საშუალოდ 20 ჰექტარი ეკუთვნის თითოეულს და ისინი ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის 4-5%-მდე. შეადარეთ ახლა მათი შიდა პროდუქტი და ჩვენი.

მაგრამ, მოდით, ასე ვთქვათ, ამ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პოლიტიკაზე, სტრატეგიაზე საუბარი დაიწყო 2012 წელს. ჩვენ ახლა ვიწყებთ რეალურად და, რა თქმა უნდა, ჩვენს ნაბიჯებს ხარვეზები აქვს, მაგრამ მე ვხედავ, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ.

რაც შეეხება პრობლემებს, უკვე ვახსენე, რომ ერთ-ერთია დაქუცმაცებული მეურნეობები, მით უმეტეს, როდესაც ეს ფართობები ერთად არ არის თავმოყრილი და დანაწევრებულია. განსაკუთრებით პრობლემურია ზემო იმერეთში, გურიაში, სადაც არამარტო გაფანტული და დანაწევრებული ნაკვეთებია, არამედ, ძნელად მისადგომი ადგილებიცაა და შეიძლება, სასოფლო სამეურნეო ტექნიკამაც ვერ იმუშაოს. ამ მცირე ნაკვეთებში შრომის რენტაბელობის მიღწევა, პრაქტიკულად, გამორიცხულია.

**— თქვენი აზრით, როგორ უნდა მოხდეს ამ პრობლემის მოგვარება? როგორ უნდა მოხდეს ამ დაქუცმაცებული მიწების გაერთიანება?**

– ჩვენ წავედით კოოპერირების გზით. შარშან მივიღეთ კანონი და დავიწყეთ კოოპერირების პროცესი, ანუ ნებაყოფლობითი გაერთიანების პროცესი, რომ სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულმა ადამიანებმა დაინახონ ურთიერთთანამშრომლობის სიკეთეები.

რა მოაქვს კოოპერირებას?! ჩვენ დროებით გვაქვს შემოღებული საკანონმდებლო შეღავათები წამახალისებელ ნორმად, ერთგვარი პრეფერენციული ღონისძიებები დავგეგმეთ კანონით, მაგრამ ეს არის დროებითი ღონისძიება, რადგან კოოპერირების მთავარი სიკეთე ის კი არ არის, რომ კოოპერატივი მიიღებს საგადასახადო შეღავათს გარკვეული ვადით 2017 წლამდე ან კოოპერატივს აქვს საშუალება, გრანტი მიიღოს... კოოპერატივის ყველაზე დიდი სიკეთე არის ის, რომ დაქუცმაცებული მიწის ნაკვეთები გააერთიანოს და შრომის რენტაბელობა აამაღლოს, გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნიკა, თანამედროვე ტექნოლოგიები და ცოდნა. მაგალითად, ერთი ჰექტარი მიწის ფართობის მოხვნა და დამუშავება გაცილებით ძვირი ღირს, ვიდრე – 10 ჰექტრის.

კოოპერირება არ ნიშნავს ფიზიკურ გაერთიანებას. პრინციპი ასეთია: თქვენც მოგყავთ მოსავალი და მეც; თქვენც უნდა გაყიდოთ და მეც. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ყველაფერი გავაერთიანოთ და ერთმა ადამიანმა დახარჯოს ეს ძალისხმევა, თუმცა, ამავე დროს, თქვენც რომ კიტრი მოგყავთ და მეც, თქვენი კიტრი უკეთესი ხარისხისაა, რადგან უკეთესი თესლი გქონდათ, უკეთესი აგროტექნიკის ვადებში ჩაატარეთ ყველა ოპერაცია, უკეთესი ცოდნა გაგაჩნიათ და თქვენ ამ ცოდნას გამიზიარებთ. ამიტომ კოოპერირება არის არა მექანიკური გაერთიანება, არამედ სოციალური სოლიდარობის, ურთიერთდახმარების გამოხატულება, რაც ჩვენს ადამიანებს აკლიათ არა მარტო სოფლად.

**— ბატონო გიგლა, გარდა მცირემიწიანობისა, რა მნიშვნელოვანი პრობლემები არის სოფლის მეურნეობაში?**

– მეორე პრობლემა გვაქვს ფინანსური რესურსებისადმი ხელმისაწვდომობა. ბანკებმა უარი თქვეს, უკვე დიდი ხანია, სესხის გაცემაზე. ვინც გასცემდა სესხს, ეს იყო ძალიან კაბალური — 36% და მეტი, მაგრამ გლეხი იძულებული იყო, დასთანხმებოდა, განსაკუთრებით – ბოსტნეულის წარმოებაში დასაქმებული, რადგან ამ სფეროში მოკლე პერიოდია პროდუქციის მოყვანა-რეალიზაციის.

ჩვენ მცირე დაბალპროცენტიანი სესხების პროექტი დავიწყეთ. თავიდან სამი კომპონენტი იყო, მაგრამ შემდეგ დაემატა სხვა კომპონენტებიც. ახალ და ახალ პროდუქტებს ვთავაზობთ სოფლის მეურნეობას და ზოგადად, ეკონომიკის ამ დარგის განვითარებისთვის ინოვაციებს არ გავურბივართ. უკვე 15 ათასამდე სესხია გაცემული და ფინანსური თვალსაზრისით, ეს არის სადღაც 350 მილიონ ლარზე მეტი, მაშინ, როდესაც მთელი წინა წლების განმავლობაში, დაახლოებით, 50 მილიონი იყო მხოლოდ გაცემული. დინამიკა შთამბეჭდავია, თუმცა – აშკარად არასაკმარისი, რადგან მოთხოვნა არის გაცილებით დიდი და ჩვენ უნდა გამოვნახოთ რესურსები ამისათვის.

ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ ეს ფული ჩვენ უნდა გამოვნახოთ არა ბიუჯეტში, არამედ – საფინანსო სექტორში, საბანკო სექტორში, იმიტომ, რომ თუ საფინანსო სექტორი აფინანსებს სოფლის მეურნეობას, მაშინ სოფლის მეურნეობას აქვს პერსპექტივა, გახდეს ბიზნესი. თუ სახელმწიფო აფინანსებს, მაშინ შეიძლება, პრობლემებთან გვქონდეს საქმე. სხვათაშორის, წინა ხელისუფლების დროს იყო მოდური სახელმწიფო საწარმოების შექმნა, დღეს ჩვენ ვდგავართ ამ საწარმოების გაყიდვის აუცილებლობის წინაშე.

ჩვენ უფრო მეტად ვფიქრობთ იმაზე, რომ სახელმწიფო საწარმოები კი არ უდნა შეიქმნას, არამედ სახელმწიფოს მთავარი როლი და ფუნქცია არის, ხელი შეუწყოს ამ სფეროს განვითარებას და არა – არჩინოს.

**— მაინც როგორ უნდა შეუწყოს ხელი?!**

– აქ მივდივართ ზუსტად მესამე პრობლემასთან. ეს არის ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელშიც მთავარი როლი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს. მაგალითად, ავიღოთ სარწყავი სისტემები. შეიძლება, მე და თქვენ საერთო ინტერესი გვქონდეს და აქედან გამომდინარე, მეზობლებმა, კოოპერატივმა, სხვადასხვა ფერმერმა გავაკეთოთ მეორადი სარწყავი სისტემები, მაგრამ პირველი რიგის სარწყავი სისტემების შექმნა არის ძალიან ფინანსურად ტევადი საქმიანობა და სახელმწიფოს როლს ზუსტად ამაში ვხედავთ, რომ ამ ტიპის ინფრასტრუქტურულ პროექტებში ფული დახარჯოს.

დასავლეთ საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია სადრენაჟო სისტემები, ხოლო სარწყავი სისტემები – აღმოსავლეთ საქართველოში. მაგალითად, სეტყვის საწინააღმდეგო სადგურის აშენება იგეგმება კახეთისთვის და საუბარია თითქმის 95%-იან დაცვაზე. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ასეთი ტიპის პროექტებში უნდა ჩადოს ფული. ასეთ შემთხვევაში, ჩემი, როგორც მოქალაქის, როგორც გადასახადის გადამხდელის, ინტერესები დაკმაყოფილებულია. როცა სახელმწიფო 20 ლიტრ დიზელის საწვავს მომცემს, აქ ჩემი ინტერესი არ კმაყოფილდება, ეს არის გადაყრილი ფული.

ამჟამად კომიტეტში ვმუშაობთ ქარსაცავი ზოლების კანონზე და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ქარსაცავი ზოლები, ერთის მხრივ, ნიშნავს მოსავლიანობის ამაღლებას, იმიტომ, რომ ქარიანობის გამო, ერთწლიან კულტურებში, აი, ხორბლის, ქერის მოყვანის დროს, 30%-მდე შეიძლება, დაიკარგოს. ქარსაცავი ზოლების აღდგენით შეიძლება, ხელი შევუწყოთ ასევე ეკონომიკის რომელიმე ცალკე ქვედარგის განვითარებას. მაგალითად, თუ გახსოვთ შიდა ქარსაცავ ზოლებად ხშირად გამოიყენებოდა ხოლმე თუთის პლანტაციები, რომელიც თავის მხრივ, ხელს უწყობდა მეაბრეშუმეობას. დღეს ეს დარგი არ არსებობს. ამიტომ ვამბობ, რომ ეს ყველაფერი ერთმანეთთან ჯაჭვურად არის გადაბმული და როგორც პაზლის ელემენტები, მთლიანი სურათი რომ მივიღოთ, თითოეულ ელემენტს უნდა მივუჩინოთ თავისი ადგილი.

შემდეგი კომპონენტი – ეს არის ტექნოლოგია. მაგალითად, მარტივი რამე ვთქვათ, რაც, ჯერჯერობით, ჩვენს ქვეყანაში ითვლება ნოუ-ჰაუდ — ეს არის წვეთოვანი მორწყვის სისტემა. როდესაც მიგდებით ხდება მორწყვა, ეს მცენარეს უქმნის სავალალო მდგომარეობას, ჭარბი ტენის აორთქლების, ბაქტერიოლოგიური და ვირუსული გარემოს გაუმჯობესების გამო, ისეთი ფონი იქმნება, რომ დაავადებები შეიძლება, უფრო მეტად გავრცელდეს, მიწაში ნაყოფიერი ფენა ჩაირეცხოს და ა.შ. წვეთოვანი მორწყვის სისტემის დროს მცენარეს მიეწოდება იმდენი წყალი, რამდენიც საჭიროა.

წვეთოვან მორწყვას მეორე ასპექტიც აქვს — ადამიანი, რომელიც რწყავს, დასაქმებულია. ასევე, ეს ზოგავს წყლის რესურსს, სასუქს, იმიტომ, რომ სასუქი შეგიძლიათ, წყალში გახსნათ და ზუსტად მცენარეს მიუვიდეს და არა – გვერდით, სარეველა ბალახს და ა.შ. ეს არის უმარტივესი ტექნოლოგიური პროცესები, რომელიც ასათვისებელი გვაქვს.

ამის გარდა უამრავი ტექნოლოგია არსებობს. ამიტომ აქ მივდივართ სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციასთან — ეს არის განათლების ფუნქცია. ცოდნა არის ის გასაღები, რომელიც ყველა კარს აღებს.

**— დიახ, განათლება მართლაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თუმცა ალბათ, ამ შემთხვევაშიც პრობლემებს ვერ ვცდებით. მაინც, რა პრობლემები შეიძლება, გამოიკვეთოს ამ მიმართულებით?**

– ყველაზე დიდი ორი პრობლემაა: ვინ უნდა ასწავლოს და ვის უნდა ვასწავლოთ.



გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ვინ და რა „დიაგნოზი" დაუსვა ქუთაისის წყალმომარაგებას

**ააიპ „ახალი სამოქალაქო აზროვნება +"-მა პროექტით — „ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა", შესრულებული სამუშაოების პრეზენტაცია გამართა.**

პრეზენტაციაზე ისაუბრეს პროექტით განხორციელებულ აქტივობებზე, განხორციელდა სამუშაოთა შეჯამება, გაიმართა დისკუსია...

პროექტის მიზანი იყო ქუთაისის მოსახლეობის გააქტიურება ქალაქის წყალმომარაგების და კანალიზაციის ქსელის სარეაბილიტაციო პროცესებში დაგეგმვა, პროექტირება, მშენებლობის მონიტორინგი, საზოგადოებრივი შეხვედრებისა და გამჭირვალობის განხორციელება, პროექტით მშენებლობის ეფექტურობის ამაღლება და მონიტორინგის განხორციელება.

აღნიშნულ პროექტს ამერიკის საელჩო აფინანსებს, რომლის ფარგლებშიც ქუთაისში არაერთი აქტივობა განხორციელდა. არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალი სამოქალაქო აზროვნების" დირექტორის, ლაშა ჭელიძის განცხადებით, მათი ორგანიზაცია დიდი ხანია რაც ამ საკითხებზე მუშაობს და ქუთაისში ძალზედ მნიშვნელოვანი პროცესები ჩატარდა წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესების კუთხით, კერძოდ: გაფორმდა „შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ" საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან; ჩამოყალიბდა საექსპერტო და საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფები; ჩატარდა საინფორმაციო-სადისკუსიო შეხვედრები; გაიმართა კონფერენცია „იმერეთის წყალმომარაგება დღეს და ხვალ"; წყალმომარაგების აბონენტების საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურეობის მიზნით, მუშაობდა ცხელი ხაზი და ყოველივე ეს აქტიურად შუქდებოდა ქუთაისის მედიასაშუალებებით.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ქუთაისის სერვის-ცენტრის დირექტორის, მიხეილ თათარაძის განცხადებით, პროექტის ძირითადი სამუშაოები 37 ქუჩაზე დასრულდა, შემდეგი ეტაპი კი ორ კვირაში დაიწყება.

„არის გარკვეული ხარვეზები, რაზეც ჩვენ ჩვენი მოსაზრება გვაქვს, მაგრამ ძირითადი შენიშვნები ვიცით და ვეცდებით, მალე გამოვასწოროთ, შედეგს ყველა მალე დაინახავს. მნიშვნელოვანია მოსახლეობის ჩართულება, რადგან მათი შენიშვნები გასათვალისწინებელია," — განაცხადა მიხეილ თათარაძემ.

პროექტის ფარგლებში, ქუთაისში 24-საათიანი წყალმომარაგებისათვის 26 მილიონ ნახევარი ლარია გამოყოფილი. 2016 წლის ბოლოსთვის ქალაქის მოსახლეობის 80% 24 საათიან წყალმომარაგების სისტემაზე გადავა, ხოლო 20% — 16 საათიანზე.

ამ ეტაპისთვის ქუთაისში შენდება წყლის 6 რეზერვუარი, ორი სადგური და მიმდინარეობს მილების რეაბილიტაცია, ქალაქის გამრიცხველიანება და სხვადასხვა სამუშაოები. სწორედ ამ სამუშაოების მონიტორინგი განახორციელა, ხარვეზები გამოიკვლია და პრობლემები შეაფასა ააიპ „ახალი სამოქალაქო აზოვნება +"-მა.



**ჟანა ჟანელიძე**

# „ითესება, იმარგლება, ისმევა და არ იჭმევა..."

## რას საქმიანობს ინტელექტკლუბი „რა? სად? როდის?"

საქართველოში ინტელექტკლუბი „რა? სად? როდის?" დიდი ხანია, წარმატებულად საქმიანობს. იგი 1991 წელს ჩამოყალიბდა და მისი პრეზიდენტი გიორგი მოსიძეა. ქუთაისში აღნიშნული კლუბი 1995 წელს შეიქმნა. აქ ბევრი ჩემპიონატი ჩატარდა როგორც ქალაქის მასშტაბით უმაღლეს ლიგაში, ასევე სკოლებსა და უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის, რაც მიზნად ისახავს ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდების წარმოჩენას და მათ ინტელექტუალურ მომზადებას ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. დღემდე ქუთაისის კლუბის უმაღლეს ლიგაში ჩატარებულია 83 ჩემპიონატი. კლუბი ასევე მონაწილეობას იღებს სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში.




ქუთაისის გუნდმა „კოზანოსტრამ", რომლის კაპიტანიც კახა მაჩიტიძეა, საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა, სერგო თევდორაძე „ბროლის ბუს" მფლობელი და მსოფლიო ჩემპიონია საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში. განსაკუთრებით წარმატებულად ასპარეზობს გუნდი „ტინი" — კაპიტანი რეზო რობაქიძე და „კარცერ-ლუქსი" — კაპიტანი ზაალ ხონელიძე. ისინი არაერთხელ გამხდარან ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს ჩემპიონები.

გუნდ „კარცერ-ლუქსის" კაპიტანი ზაალ ხონელიძე №1 ბაგა-ბაღის დირექტორია. აღსანიშნავია, რომ ბატონი ზაალი ინტელექტუალური თამაშის პროპაგანდას სააღმზრდელო დაწესებულებაშიც ახდენს. იგი არის დასავლეთ საქართველოს, ქუთაისის და სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალგზის ჩემპიონი, მიღებული აქვს უამრავი სიგელი და მედალი.

ზაალ ხონელიძე: „ქუთაისის ინტელექტკლუბი „რა? სად? როდის?" საკმაოდ წარმატებულად ასპარეზობს. 2003 წლიდან ამ კლუბის წევრი ვარ. აქ არიან გამარჯვებაზე და წარმატებაზე ორიენტირებული გუნდები. მიმდინარე წლის მაისში საირმეში ჩატარდა უპრეცედენტო და გრანდიოზული იმერეთის ფესტივალი, სადაც გამარჯვება მოიპოვა გუნდმა „პენტიუმმა", რომლის კაპიტანიც დავით რაფავაა. აღვნიშნავ, რომ ქუთაისის კლუბი დღესაც აქტიურად აგრძელებს მოღვაწეობას ქალაქში და მთელს რეგიონში, რათა ეს მართლაც შესანიშნავი თამაში უფრო პოპულარული გახადოს და რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩაერთოს მასში. ეს არის აბსოლუტურად სხვა სამყარო, სადაც მხოლოდ ინტელექტი იმარჯვებს. მოგეხსენებათ, რომ №1 საბავშვო ბაღში ვარ დირექტორი და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ დაწესებულებაში უკვე იზრდებიან მომავალი ინტელექტუალები. ჩვენ რეგულარულად ვატარებთ ტურნირებს. პატარა აღსაზრდელები მცირე ასაკიდან ეჩვევიან ლოგიკურ და გამართულ აზროვნებას. სწორედ ბაღის ასაკიდან ხდება ბავშვებში ინტელექტისა და ნიჭის გამოვლენა.

ჩვენ ტურნირებს ვატარებთ აგრეთვე სასჯელაღსრულების ქუთაისის №2 დაწესებულებაში. იქ ძალიან ბევრი ნიჭიერი ინტელექტუალი და განათლებული ადამიანია თავმოყრილი. ისინი სვამენ რთულ და საინტერესო შეკითხვებს, რომლებსაც იქ არსებული ბიბლიოთეკის ბაზიდან არჩევენ. იქ ძალიან ბევრი საინტერესო და ნიჭიერი ახალგაზრდაა."

კითხვის სირთულის რაობაზე კი გუნდ „კარცერ-ლუქსის" კაპიტანს ასეთი მოსაზრება აქვს:

„ვცდილობ, იყოს რთული კითხვა, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს ლოგიკური გასაღები და მისი გამოცნობა უნდა შეძლოს რიგითმა ტელემაყურებელმა.

2014 წლის ფინალურ სერიაში მქონდა ასეთი შემთხვევა — დავსვი შეკითხვა ფინალის გუნდთან და დარბაზის დახმარებითაც ვერ შეძლეს გამოცნობა. კითხვა ასეთი იყო, უფრო სწორად ხალხური გამოცანაა: „ითესება, იმარგლება, ისმევა და არ იჭმევა..." ამჯერად ამ გამოცანას თქვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს დავუტოვებ გამოსაცნობად.

**ლიკა ჩახუნაშვილი**

# როგორია საქართველოს აგრარული პოლიტიკა

## ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარესთან, გიგლა აგულაშვილთან

**მე-4** გვერდიდან

ჩვენ გვყავს 800 ათასი მცირე ფერმერი, ამდენ ფერმერს ასწავლო — რა შედეგებს მიიღებ, უნდა იცოდე, რადგან თუ მიიღებ ხარვეზიან ცოდნას, ეს კიდევ პრობლემას გააჩენს — ხარვეზიან ცოდნას ახასიათებს ხარვეზების შტამპვა, ანუ შეცდომების განმეორება.

ამასთან, ჩვენი გლეხი მაინცდამაინც მიჩვეული არ არის, ისწავლოს და დრო დახარჯოს ამაზე, მისი მამა-პაპა როგორც აკეთებდა, ისიც იგივეს გააკეთებს და ა.შ. ამიტომ ჩვენ უნდა მივიდეთ ფერმერთან.

ამის შესანიშნავი მაგალითია ისრაელის გამოცდილება, მოძრავი მიკროავტობუსის ბაზაზე დამონტაჟებული ლაბორატორია, სასწავლო ცენტრი, მცოდნე ადამიანები, რომლებიც მიდიან ადგილზე. ერთი ავტომანქანა ერთი წლის განმავლობაში ემსახურება 100 ფერმერს.

მე დაუშვებლად მიმაჩნია უპასუხისმებლო კონსულტაცია — მაგალითად, ფერმერი ჩამოვიდა თბილისში, „სამთო ქიმიის" გვერდით მივიდა საკონსულტაციო ცენტრში, ფული გადაიხადა, კონსულტაცია გაუწიეს, დავუშვათ, რომ საუკეთესო რჩევები მისცეს. ეს კაცი დაბრუნდა სოფელში, მივიდა თავის მიწასთან, თავის მცენარესთან და იქ მას გაუჩნდა დამატებითი კითხვები, რა უნდა ქნას?!

კონსულტაცია უნდა იყოს არამარტო თეორიული, არამედ – პრაქტიკული. ამიტომ აუცილებელია, როდესაც ჩვენ მივდივართ საკონსულტაციოდ, მივდივართ ადგილზე, არა – თეორიულად, არა – ვერბალურად, არამედ, იქვე ვაჩვენებთ, რომ ხეხილის გასხვლა ასე ხდება, აი ეს არის ინტენსიური ბაღი და ა.შ...

**— უკვე არსებობს ასეთი ტიპის საკონსულტაციო ცენტრები, თუ ეს ყველაფერი სამომავლო გეგმებია?**

– ახლა ვიწყებთ და ამ პროცესში განათლებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან ერთად, ჩვენი კომიტეტიცაა ჩართული.

რაც შეეხება იმას, რა არის გაკეთებული ამ მხრივ, გეტყვით, რომ მანამდე არ არსებობდა არანაირი საინფორმაციო ბაზა, ახლაც კი ძალიან გვიჭირს ყველაფერში, მაგრამ რაც ჩვენ დავიწყეთ არის ის, რომ სოფლის მეურნეობის სისტემაში შეიქმნა საკონსულტაციო ცენტრები ყველა რაიონში. ამით დავიწყეთ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

**— რამდენად იყენებს ადგილობრივი მოსახლეობა ამ საკონსულტაციო ცენტრებს?**

–ფიზიკურად შეუძლებელია, რომ ამ სისტემამ იმოქმედოს ისე, როგორც საჭიროა. ეს არ არის ის მოდელი, რომელიც, მაგალითად, მე დამაკმაყოფილებდა. მას უფრო სხვა ფუნქციები გააჩნია და რეალურად, საბაზო მონაცემების შეგროვებას ახდენს, ვიდრე საკონსულტაციო ფუნქციას ასრულებს. როდესაც მე დავდივარ სხვადასხვა რეგიონში და ვხედავ, რომ ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრებში მაინცდამაინც ინტენსიურად არ დადის ხალხი, ვხვდები, რომ ეს სისტემა ვერ მუშაობს ისე, როგორც უნდა მუშაობდეს, ამიტომაც ვფიქრობთ და ვეძებთ ახალ გზებს. ჩემი აზრით, ეს პირველი რიგის პრობლემაა, რადგან ადამიანი, რომელმაც იცის, რა უნდა, შემდეგ უკვე ადვილად ეძებს და ადვილად პოულობს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს შედეგს.განათლების მიმართულებით ორი კომპონენტი გვაქვს. ერთი — მოკლევადიანი და პროფესიული განათლება, განათლება პრაქტიკით, ე.წ. დუალისტური განათლება — პრაქტიკა და თეორია ერთად შეხამებული. ეს არ არის ჩვენი გამოგონება, ასე მუშაობენ, ასე ასწავლიან.

**— ბატონო გიგლა, კარგა ხანია, ვსაუბრობთ და ჯერ ღვინო არ გვიხსენებია. მაინც რას ფიქრობთ, რა ნაბიჯების გადადგმა მიგაჩნიათ მნიშვნელოვნად მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისათვის?**

– ფიქრობ, ჩვენი სტრატეგია მიმართული უნდა იყოს მევენახეობა-მეღვინეობის დინამიურ განვითარებაზე და დარგის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებაზე; მაღალი ხარისხი, ტრადიციული ტექნოლოგიების ერთგულება, ჯიშობრივი სისუფთავე, ბაზრების დივერსიფიცირება, ჩვენი ღვინის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, მისი ცნობადობის უწყვეტი ზრდა უზრუნველყოფს მდგრად წარმატებას.

**— როგორია თქვენი პირადი დამოკიდებულება ღვინის მიმართ?**

– არასდროს მესმოდა არყის; იყო დრო, მომწონდა კარგი კონიაკი; შემიძლია, დავაფასო შამპანური; მიღიარებია პორტვეინი; გავუტაცებივარ ვისკის; გავუგრილებივარ ლუდს... მაგრამ ღვინო არის ალკოჰოლიანი სასმელების კლასიკა. ხოლო ღვინოებში, თეთრი მშრალი ღვინო ყველაზე ტევადი და ესთეტიურია. ქართული თეთრი ღვინო კი გამორჩეულად ინტენსიური და ღონიერია.

**ნატო გუბელაძე**

მასალა გამოქვეყნებულია ჟურნალ **„ღვინოში"**

# ახალი წიგნების წარდგენა

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მწვანე დარბაზში 2014 წლის 25 ივნისს, ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის თაოსნობით, გაიმართა უხუცესი მწერლისა და პროფესორის, სიმონ არველაძის წიგნების წარდგენა-განხილვა.**

**1. „ღირსეულ ქუთათურთა სილუეტები“, წიგნი II;**

**2. „მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა“ (ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობის ისტორიიდან).**



სიმონ არველაძე

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა პროფესორმა რობერტ გოლეთიანმა, ღონისძიება მიჰყავდა პროფესორ მერაბ მაღრაძეს. ახალი წიგნები წარადგინა ავტორმა, ზოგადად მიმოიხილა აკადემიკოსმა, ორივე წიგნის რედაქტორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა.

სიტყვებით გამოვიდნენ: პროფესორი მადონა მეგრელიშვილი, პროფესორი ევგენი ბლიაძე, მწერალი თემურ ამყოლაძე, ჟურნალისტი მედეა ჩოგოვაძე, მწერალი გონერ ჭეიშვილი, პოეტი ზაალ ებანოიძე, ქუთაისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები თემურ ნადირაძე, ნატო ქათამაძე, პროფესორი მანანა ბანძელაძე, ექიმი, ხელოვანი თემურ ძიძიგური, სოციალური სამსახურის წარმომადგენელი შაქრო კუბლაშვილი, მხატვარ-არქიტექტორი გივი იობიძე.

სიტყვაში გამომსვლელები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ დოკუმენტური ნაწარმოებები ბევრი წაუკითხავთ, მაგრამ სიმონ არველაძის ეს წიგნები მრავალი კუთხითა და შტრიხით წარმოაჩენს ცნობილ ადამიანებს, რაც წლების შემდეგ უფრო საინტერესო იქნება შთამომავლობისათვის. ამ საქმით ბატონმა სიმონმა ძეგლი დაუდგა 102-მდე ადამიანს — ღირსეულ ქუთათურს — მწერლებს, მეცნიერ-პედაგოგებს და კულტურის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეებს. ავტორი აგრძელებს III წიგნზე მუშაობას.






დასასრულს, სამადლოებლი სიტყვა წარმოთქვა უხუცესმა მწერალმა, პროფესორმა სიმონ არველაძემ.

# ლექსები ახალი წიგნიდან

**წინათქმა:**

**მწერალი ქალი გულო გულხვიიძე XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ეწევა სამწერლო-შემოქმედებით მოღვაწეობას. თავდაპირველად იგი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა ლექსებს და მოთხრობებს, ნოველებს და ნარკვევებს. მისი შემოქმედება განეკუთნება ორ ჟანრობრივ სფეროს — პოეზიას და პროზას... ავტორის მხატვრული შემეცნების არეალში შემოდის ცხოვრებისეული რეალობის აქტუალური თემატიკა. გამოქვეყნებული აქვს 4 წიგნი, სახელდობრ, რომანები: „ჩამქრალი ვარსკვლავი“, „ეკლიანი გზა“, აგრეთვე დეტექტიური ნაწარმოები „აწეწილი ფიქრები“, ლექსების წიგნი „მე და შენ“. გამოსაცემად მზად აქვს ლექსების წიგნი საბავშვო პოეზიის სფეროდან. არის მწერალთა კავშირის წევრი.**

**ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ლირიკულ ლექსს ახალი წიგნიდან „საბავშვო ლექსები“.**

**სიმონ არველაძე**
**მწერალი-კრიტიკოსი**



გულო გელხვიიძე

## გულო გელხვიიძე

**ჟურნალი „დილა“**

ჟურნალი სულის საზრდოა,
ეს ყველამ კარგად იცის,
ზარმაცს რომ წიგნი არ უყვარს,
არ უნდა ფიცი-მტკიცი.
მგელი კი შეჭამს, როდესაც
დედის წინ გარბის კვიცი.

**სოსო-ბიჭის ოცნება**

ბაღში დადის სოსო-ბიჭი,
მან თვლაც იცის ათამდე,
დავიღალე, ნეტავ ეს გზა
როდის უნდა გათავდეს?
მინდა, სკოლაში წავიდე
უფრო ადრე, ვადამდე.
მალე წავიკითხო წიგნი,
თუკი ნებას დამრთავდნენ!

**ჩემს დედიკოს**

ჩემს დედიკოს ეკუთვნის
სიყვარული ულევი,
მსურს, ყოველდღე მივართვა
ვარდის თაიგულები.
სიამით რომ ფეთქავდეს
მუდამ ჩვენი გულები.

**სამშობლოს**

სადაც წავალ, შენ ხარ ჩემი
ნუგეში და იმედი.
გზას მინათებ, ვით ვარსკვლავი
მარად მოციმციმეთი.
რა გული გაქვს, სულზე ტკბილო,
თავად უფლის ნახატო,
როგორ შევძლო, შენ ლაღი
და ბედნიერი გაგხადო.
როგორ შევძლო, შენს ედემ-ბაღს
მტერი გადავუშენო,
როგორ შევძლო, უცხო ცის ქვეშ
მე სიცოცხლე უშენოდ!

**პირველი ლექსი დედას**

ვის შეუძლია, დრო შეაჩეროს
და მე მაჩუქოს ტკბილი წამები,
ვის შეუძლია, ეს ჩემი გული
ალაღოს ზოგჯერ განაწამები?
ეს არის დედა — სიცოცხლის
წყარო,
ქვეყნად სიკეთის ძირი და ფესვი.
ყოველ დღე მისი ალერსით ვხარობ,
მინდა, მოგიძღვნა პირველი ლექსი.

**მუზას**

როდესაც მინდა, რომ შენთან
ვიყო,
და როცა მინდა, რამე დავწერო,
მაშინ მეწვევა ლაღი ოცნება,
ფიქრი ეწევა გაფრენილ წეროს.
იმედის სხივი ზეცამდე აღწევს,
მარტო ვსეირნობ მე ხეივანში,
უზომო ტკივილს აქვს დასასრული
და მერე ისევ მივფრინავ ცაში...
ბედნიერი ვარ, ლექსს რომ
ვკითხულობ
და ხალხი მხვდება ღიმილით,
ტაშით!

# გიორგი სერჟანოვი 75 წლისაა

**ქუთაისის მდიდარი სპორტული ცხოვრების ისტორიას ღირსეული ადამიანების მთელი გალერეა ამშვენებს, რომლებმაც მრავალწლიანი მუხლჩაუხრელი და პატიოსანი შრომის შედეგად ღირსეული კვალი დაამჩნიეს ჩვენი ქალაქის მრავალსაუკუნოვან სისხლსავსე სპორტულ ცხოვრებას.**

ერთ-ერთი მათგანია საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, ქუთაისისა და სრულიად იმერეთის მხარის სპორტული ცხოვრების მე-20 საუკუნეში აღიარებული ერთ-ერთი წარჩინებული მუშაკი და მოღვაწე გიორგი სერჟანოვი, რომელსაც ამ დღეებში დაბადებიდან 75 წელი უსრულდება.

ჯერ კიდევ 60 წლის უკან ქუთაისში დაბადებული და აღზრდილი ნიჭიერი მოჭადრაკე წარმატებით ასპარეზობდა სხვადასხვა რანგის საქალაქო, რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბის სპორტულ ღონისძიებებში.

ამის შემდეგ ნუ გაგიკვირდებათ, რომ ქალაქის სპორტკომიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ნიჭიერი მოჭადრაკე ქალაქის საჭადრაკო-საშაშო კლუბის დირექტორად რომ დანიშნა და შეიძლება ითქვას, სული შთაბერა მოყვარული მოჭადრაკეების მონაწილეობას საქალაქო სპორტულ ღონისძიებებში.

1967 წელს იუბილარი სათავეში ჩაუდგა საქალაქო სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს და თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე მისი ხელმძღვანელი იყო.

დღეს ქართული სპორტის ამაგდარს ეამაყება, რომ მისი უშუალო მონაწილეობით პრაქტიკულად წყდებოდა ქალაქის ურთულესი სპორტული ობიექტების კეთილმოწყობისა და მშენებლობის საკითხი. რა თქმა უნდა, ყველაფრის თავი და თავი მაშინდელი საქალაქო სპორტკომიტეტის თავმჯდომარეები იყვნენ, რომლებიც ქალაქის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით წყვეტდნენ უმთავრეს საკითხებს.

70-იან წლებში ჩატარებული რეკონსტრუქციის სამუშაოებით კეთილმოეწყო ქალაქის ცენტრალური სტადიონი, რომელიც იმდროინდელი მოთხოვნილების ყველა ნიუანსებს აკმაყოფილებდა და ღირსეულად მასპინძლობდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მოასპარეზე უძლიერეს საკლუბო გუნდებს.

იმ ხანებში იყო საფუძველი ეყრებოდა ქუთაისში სპორტის ახალ სახეობას, როგორიც რაგბია.

მაშინდელი საქალაქო სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით და გიორგი სერჟანოვის დაუღალავი შრომით, მომავალში საქვეყნოდ ცნობილმა სარაგბო გუნდმა „აია“-მ კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა მიიღო.

ამან კი განაპირობა, რომ ლეგენდარულმა „აია“-მ საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონმა და ორგზის პრიზიორმა, ასევე საკავშირო თასის ორგზის მფლობელმა ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი საბჭოთა სპორტის ელიტაში.

რამდენი რამ გაკეთდა იმ პერიოდში იმისათვის, რომ ქუთათურ სპორტსმენებს საუკეთესო საწვრთნელი და საასპარეზო სპორტული ბაზები ჰქონოდა სპორტის სხვადასხვა სახეობებში. მიუხედავად იმისა, რომ ძნელი იყო იმ პერიოდში სპორტის სფეროში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კეთილმოწყობა, ისიც კარგად მახსოვს ქალაქის ხელმძღვანელ ორგანოებში, საქართველოს სპორტკომიტეტსა, საქართველოს მინისტრთა საბჭოში, თუ საამშენებლო ორგანიზაციებში როგორ დადიოდა კარდაკარ, იღლიაში დოკუმენტებით ამოჩრილი და დიდი ძალისხმევით იცავდა მიტანილ პროექტებს.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა საცურაო სპორტული კომპლექსი, საჭადრაკო კლუბი „მაია“, საცხენოსნო და სახანძრო გამოყენებითი სპორტის სპორტული ბაზები, დაიგო სინთეტიკური საფარით ბალახის ჰოკეის მოედანი და მძლეოსნობის სარბენი ბილიკები ცენტრალურ სტადიონზე.

მაგრამ, ახლა სულ სხვა კუთხით მინდა გავაცნო გაზეთის მკითხველს ჩვენი იუბილარი. თითქმის 43 წლის წინ თბილისში მიმდინარეობდა საქართველოს მეხუთე სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მძლეოსანთა ასპარეზობა. ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ვაჟთა შორის 200, 400, 800 და 1500 მეტრზე რბენაში, აგრეთვე ხტომებსა და ტყორცნებში გამარჯვებულთა შორის დიქტორი რუსი გვარის მძლეოსნებს ასახელებდა და თან მიუთითებდა, რომ ისინი ქუთაისიდან არიანო, კარგად ვიცოდი, რომ ისინი არცერთი ქუთაისელი არ იყო, ყველაფერი ეს გიორგი სერჟანოვის ფანდი გახლდათ. საქმე იმაშია, რომ საბჭოური შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილებში, რომლებიც განლაგებული იყვნენ ამა თუ იმ ქალაქის და რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მოსამსახურე სპორტსმენებს უფლება ჰქონდათ დაეცვათ იმ ქალაქის და რესპუბლიკის სპორტული ღირსება, სადაც ეს სამხედრო ნაწილები იყო დისლოცირებული. ასე რომ, ჩვენი წერილის გმირის დამსახურებაა სახელოვანი სპორტსმენების ქუთაისში განთავსებულ სამხედრო ნაწილებში დროებით მათი გადმოყვანა.

რაც მთავარია, ჩვენს იუბილარს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა თავდაცვის სამინისტროში შემავალ ყველა სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელობასთან და მათი მეშვეობით იმ დროისათვის სახელოვანი სპორტსმენები, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრები ლენინგრადიდან, სტალინგრადიდან, ვლადივასტოკიდან, ლვოვიდან, როსტოვიდან და სხვა ქალაქებიდან, რომლებიც თავიანთ რესპუბლიკებში №1 სპორტსმენები იყვნენ. საკავშირო თავდაცვის მინისტრის განსაკუთრებული ბრძანებით ჩამოჰყავდათ ქუთაისში და ისინი ასპარეზობდნენ საქართველოს და საბჭოთა კაშვირის ხალხთა სპარტაკიადებში, ასე მოხვდნენ ქუთაისში ცნობილი მოკრივეები ვიქტორ ულიანიჩი, ბენიამინ დანშინი და ივანე გოროდილოვი, მძლეოსნები ვლადიმერ მოსკალენკო და სერგეი ტოპილინი, აგრეთვე სხვა მრავალი, რომლებმაც საკავშირო ხალხთა სპარტაკიადაზე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაიმშვენენ თავიანთი გულ-მკერდი, ხოლო საქართველოს სპორტულ ყულაბაში ოქროს ქულები მოჰქონდათ.



გიორგი სერჟანოვი

იმ პერიოდში საქართველოს სპარტაკიადაზე მეორე ადგილისათვის უშეღავათო ბრძოლა იყო გაჩაღებული აფხაზეთის, აჭარისა და ქუთაისის გუნდებს შორის. საბედნიეროდ, ჩვენი ქალაქის წარგზავნილებმა ღირსეულად დაიკავეს მეორე ადგილი ქალაქ თბილისის შემდეგ.

ბუნებრივია, აფხაზეთის სპორტკომიტეტის მესვეურები განაწყენებული იყვნენ გიორგი სერჟანოვის საქმიანობით და მათი მინისტრთა საბჭო საჩივრით შევიდა საკავშირო თავდაცვის სამინისტროში, თითქოს ჩვენმა იუბილარმა ეს სპორტსმენები უნებართვოდ შემოიყვანა საქართველოში. საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროდან მოსული პასუხი მოკლე და ლაკონური იყო: „ჯარის დისლოცირება საიდუმლოა და ეს საკითხი არ ექვემდებარება მის გაშიფვრას“. ამის შემდეგ აფხაზეთის სპორტკომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარეს, ბატონ ვალერი ლოგუას არაერთხელ უთქვამს — გიორგი სერჟანოვსო საკავშირო თავდაცვის მინისტრთანაც აქვს მოგვარებული ურთიერთობაო. ასეთი „შანსი პეპელა“ გახლავთ ჩვენი იუბილარი.

ფასდაუდებელია გიორგი სერჟანოვის დამსახურება სახელოვანი მოჭადრაკეების, მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონის და მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ცხრაგზის ლაურეატის მაია ჩიბურდანიძის, საერთაშორისო დიდოსტატების — თამაზ და გიორგი გიორგაძეების, სოფიკო ტყეშელაშვილის, ვალერი გაფრინდაშვილის, ნანა ძაგნიძის, ინგა ჭარხალაშვილის, დავით ბენიძის, საერთაშორისო ოსტატების — თეა ლანჩავას, სოფიკო ნიკოლაძის, ბესარიონ ხეცურიანის, ხვიჩა სუპატაშვილის, ნათია აფხაიძის, ვალერი მანაგაძის და სხვების წარმოჩენისა და მათი დაოსტატების საქმეში. წლების მანძილზე მისი ხელმძღვანელობით ქალაქის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი წარმატებით ასპარეზობდა საქართველოს სპარტაკიადებსა და სხვა რანგის ტურნირებში. სახელოვან მწვრთნელებთან ერთად გიორგი სერჟანოვის დიდი დამსახურებაა, რომ პოპულარულმა საკავშირო საჭადრაკო პრიზმა „თეთრმა ეტლმა“ სამუდამოდ ბინა ჩვენს ქალაქში დაიდო.

ჩვენი იუბილარი გიორგი სერჟანოვი დღესაც ახალგაზრდულად გამოიყურება თავის ასაკთან შედარებით, შრომობს ჭაბუკური შემართებით და მუდამ საქმიან ფუსფუსშია.

ქალაქის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური და სპორტული სამყარო 75 წლის იუბილეს ულოცავს გიორგი სერჟანოვს და დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უსურვებს.

**ზურაბ ჯავახაძე**
ქუთაისის სპორტის მუზეუმის დამაარსებელი, საქართველოს კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორდენის კავალერი

## კვირის ჰოროსკოპი

**ვერძი:** თუ გსურთ თავი აარიდოთ კამათს და კონფლიქტურ სიტუაციებს ოჯახში და სამსახურში, გამოსავალი ძალიან იოლია — არ მისცეთ ემოციებს უფლება, რომ გძლიონ. თანამშრომელთან კამათმა შესაძლებელია დაგიძაბოთ მდგომარეობა სამსახურში.

**კურო:** გმართებთ მოთმინება, რათა თავიდან აიცილოთ კონფლიქტი ახლობლებთან. მოიკრიბეთ ფანტაზია და არ ინანებთ. არის ალბათობა იმისა, რომ მიიღოთ პრემია.

**ტყუპები:** თავს ენერგიულად იგრძნობთ, ეს ენერგია დახარჯეთ სამსახურეობრივი ამოცანების გადაწყვეტაში.

**კირჩხიბი:** თქვენი სექსუალობა და შარმი გარშემომყოფებზე არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას მოახდენს. ორიგინალური იდეების მეშვეობით ადვილად გაიჩენთ თანამოაზრეებს.

**ლომი:** ენერგიული ხასიათი დაგეხმარებათ, დაწყებული საქმეები ბოლომდე მიიყვანოთ. წარმატებულ კონტაქტებს დაამყარებთ ადამიანებთან, რომლებთანაც ადრე ამას ვერ ახერხებდით. აკონტროლეთ ფინანსები.

**ქალწული:** ეს პერიოდი კარდინალური ცვლილებებისთვის იდეალურია. ყურადღება გაამახვილეთ იმიჯზე, მუშაობის სტილზე, ურთიერთობებზე.

**სასწორი:** შეძლებთ, ცხოვრებაში წარმოქმნილი ნებისმიერი პრობლემა მარტივად და უმტკივნეულოდ გადაწყვიტოთ. ყველაზე თამამ იდეებსაც კი ადვილად განახორციელებთ.

**მორიელი:** წინ რთული დღეები გელით. დეპრესიიდან გამოსვლაში მეგობრები დაგეხმარებიან. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს.

**მშვილდოსანი:** თქვენი აქტიურობა პიკს მიაღწევს. წარმატება გელით საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჰარმონიულად შეათავსეთ სამსახური და ოჯახი, რათა კონფლიქტები თავიდან აიცილოთ.

**თხის რქა:** შეეცადეთ, საყვარელ საქმიანობას რაიმე სხვაც შეუთავსოთ, ან მოძებნოთ ოქროს შუალედი შრომასა და გართობას შორის. შესანიშნავად გაატარებთ დროს ბავშვებთან ან სიმპატიურ ადამიანთან ურთიერთობაში.

**მერწყული:** წარმატება გელით როგორც საქმიან, ასევე პირად ცხოვრებაში, საქმიანი მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება.

**თევზები:** საქმიან ურთიერთობებში წარმატება გელით. ნებისმიერ იდეას განახორციელებთ. ახალი სასიყვარულო თავგადასავლები თქვენს ცხოვრებას სტიმულს შემატებს.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3. პაპუასი. 5. უნარი. 6. ბოა. 8. მაკ. 9. არმია. 11. ეგვიპტე.
**შვეულად:** 1. სპორა. 2. ვან. 3. პინდარე. 4. იპოლიტე. 7. გრიპი. 10. ივა.



# როგორ მოვუაროთ სამზარეულოს ჭურჭელს

**იმ შემთხვევაში, თუ სწორად მოუვლით თქვენს სამზარეულოს ჭურჭელს, იგი გაცილებით დიდი ხნით შეინარჩუნებს პირვანდელ ბზინვარებასა და სილამაზეს,**

**დაიმახსოვრეთ:**

**1.** თუჯის ჭურჭელი გაცილებთ დიდხანს გაგიძლებთ, თუ გარეცხვის შემდეგ მას არ გაამშრალებთ სამზარეულოს ნაჭრით. უმჯობესია, დადგათ იგი დაბალ ცეცხლზე, რათა წყალი აორთქლდეს და ქაღალდის ხელსახოცების დახმარებით წაუსვათ მცენარეული ზეთი.

**2.** არ გამოიყენოთ კოროზიით დაზიანებული ჭურჭელი მჟავე საკვების მოსამზადებლად. ასეთი პროდუქტების მომზადება უმჯობესია უჟანგავი მეტალისა და მიხრუკვის საწინააღმდეგო ფენის მქონე ჭურჭელში.

**3.** იმისათვის, რომ სპილენძის ჭურჭელს დაუბრუნოთ ბზინვარება, გაწმინდეთ იგი მარილისა და ძმრის ნაზავით (პროპორცის 2:1). შემდეგ გარეცხეთ იგი სუფთა წყლით და გაამშრალეთ ბამბის ხელსახოცით.

**4.** თუ უჟანგავი ფოლადის ჭურჭელზე დარჩა მოთეთრო კვალი წყლისგან, გაწმინდეთ იგი მშრალი საკვები სოდით, მსუბუქი ნაჭრის დახმარებით, ტექსტურული ფოლადის მიმართულებით. გამოავლეთ და გაწმინდეთ ნაჭრით.

**5.** ემალირებული ჭურჭელი ექსპლუატაციის წინ მაღალ ტემპერატურაზე გაახურეთ. ამისათვის, გაავსეთ იგი პირთამდე, დაუმატეთ სუფრის მარილი (1 ლიტრზე საჭიროა 2 ს/კ) და მიიყვანეთ დუღილამდე. გააგრილეთ და გადაღვარეთ სითხე.

rogor.ge



როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

## უფასოდ

ქვემოთ მოცემულ კუპონზე

**განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან**

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე

**კუპონი უნდა ჩაბარდეს**

რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37ა;
სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.

არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.

განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

## მცირე განცხადების კუპონი

ალნიშნე კატეგორია

**უძრავი ქონება**
☐ გავყიდი
☐ ვიყიდი
☐ გავაქირავებ

**ავტო-მოტო**
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი

**სამსახური**
☐ ვეძებ სამუშაოს

**სხვადასხვა**
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი
☐ სხვა

☐ ცხოველები

**განცხადების შინაარსი**

ტელ: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

☐ არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე
☐ ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში
კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

**30.06.2014**



შეადგინა ალეკო ნემსაძე

## ვინ არის ფოტოზე?



პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** მხოლოდ **სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო.

## რას დაარქმევდით?



კობა დავითაშვილი

დაგვიკავშირდით:

- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

### პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



დავით უსუფაშვილი

„ფეხქვეშ ითელება ეროვნული და სულიერი ღირებულებები. რას ფიქრობთ, უბადრუკო?“
**შაქრო გაბელაშვილი**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 3. იაპონიის კუნძული. 5. მეფის მხლებლები. 6. მიმართვა ქალისადმი ბრიტანეთში. 8. ცეცხლის ენა. 9. ძველი საფრანგეთი. 11. იურიდიულ საქმეთა მცოდნე.

**შვეულად:** 1. სასწავლო დაწესებულება. 2. ბილიარდის ჯოხი. 3. უმაღლესი მთების სისტემა. 4. ძვ. ეგვიპტელთა უმაღლესი ღვთაება. 7. ვარდობისთვე. 10. კედლის სანათი.



# დააგემოვნეთ ჟურნალი „ღვინო"!

**ანონსი მედიისთვის**

**ღვინო, როგორც კულტურა! —- ასეთია საქართველოს სომელიეთა ასოციაციის მიერ ახლახანს გამოცემული ჟურნალ „ღვინო"-ს კონცეფცია. მისი სულისჩამდგმელი და მთავარი რედაქტორია სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტი, ღვინის საპატიო ელჩი შალვა ხეცურიანი.**

ჟურნალი გამოიცემა წელიწადში 4-ჯერ, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, „საქპატენტის", ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ასოციაცია „ქართული ღვინოს"-ს მხარდაჭერით.

100-გვერდიანი ჟურნალი „ღვინო" მკითხველის ყურადღებას იპყრობს არამარტო მრავალფეროვანი და საინტერესო სტატიებითა და ავტორებით, ასევე — ორიგინალური ფორმატით, დიზაინითა და უნიკალური ფოტომასალით.

„სახელწოდება „ღვინო" ზუსტად ასახავს იმას, რისი თქმაც ჟურნალის სარედაქციო გუნდს სურს, რადგან როდესაც ამ სიტყვას ვამბობთ, ვგულისხმობთ არა მხოლოდ საკუთრივ ღვინოს, არამედ — ღვინოსთან დაკავშირებულ უმდიდრეს კულტურას. ღვინო არის ჩვენი ეთნოსის, კულტურის ერთ-ერთი მატერიალური გამოხატულება, ჩვენი ხასიათის და გენის მატარებელი, ჩვენი ჭირის თუ ლხინის გამზიარებელი. თუ ქართველი ადამიანის გაცნობა გინდა, მისი კუთხეების ღვინოები და გასტრონომია უნდა გაიცნო, ლექსებთან, სიმღერებთან, ცეკვებთან ერთად. შეიძლება ითქვას, რომ ღვინო არის ქართული ფოლკლორის განუყოფელი ნაწილი" — ასე ფიქრობს ჟურნალის მთავარი რედაქტორი, — ეს არ იქნება ტექნიკური შინაარსის ჟურნალი ღვინოზე, როგორც სასმელზე. ვეცდებით, ღვინო წარმოვაჩინოთ, როგორც საინტერესო და მდიდარი კულტურული ფენომენი. გაეცნობით ბევრ საინტერესო რუბრიკას, საინტერესო ადამიანებს, ღვინოსთან დაკავშირებულ საინტერესო ამბებს, მოვლენებს და კულტურულ ფენომენებს, როგორც ქართულს, ისე — უცხოურს. შევეცდებით, დაგეხმაროთ ღვინის უკეთესად შეცნობაში და გარკვეული აღმოჩენების გაკეთებაშიც კი." — აცხადებს შალვა ხეცურიანი.

ჟურნალ „ღვინო"-ს პირველი ნომერში თქვენ შეიტყობთ:




• ღვინის საპატიო ელჩის, შალვა ხეცურიანის ავტორობით დაწყებულია 35 სერიანი დოკუმენტური ფილმის გადაღება ქართულ ღვინოზე, რომლის რეჟისორად მოწვეულია ნანა ჯორჯაძე;

• აქვე წაიკითხავთ დავით ბუხრიკიძის ინტერვიუს ნანა ჯორჯაძესთან: „მოგზაურობა კანში, სოპოტსა და ღვინის სამყაროში";

• რა საერთო აქვთ ქვევრს, დამბალხაჭოს, ჩურჩხელას, მუკუზანსა თუ წინანდალს, ამის შესახებ გაიგებთ ნატო გუბელაძის სტატიიდან: „ქართული ბრენდების დაცვა „საქპატენტის" ეროვნული ღირსების საქმეა";

• ამავე ავტორის სტატიიდან შეიტყობთ ასევე, თუ როგორია საქართველოს აგრარული პოლიტიკა. რამდენად სწორ გზაზე დგას ქვეყანა, ამ თემაზე პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი ამომწურავად საუბრობს;

• ღვინოში თავი არ დაუკარგავს, მაგრამ რა აღმოჩენები გაუკეთებია ღვინოში მამუკა ხაზარაძეს, ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ცნობილმა ბიზნესმენმა შალვა ხეცურიანთან და ნანა ლომიძესთან ისაუბრა;

• რას ნიშნავს მართალი კაცის წყალი და რატომ არის ვისკი ყველაზე დემოკრატიული სასმელი, ამის თაობაზე თენგო გოგოტიშვილი გესაუბრებათ; მასვე ეკუთვნის „პიესა ერთი თეფშისა და დანა-ჩანგლისთვის" რესტორან „ტერასადან";

• როგორია ღვინის აქსესუარების ყველაზე ცნობილი და მსოფლიოში პირველი მწარმოებლის, 4 საუკუნოვანი ტრადიციის მქონე ავსტრიელი გრაფი რიდელის ოჯახის მემკვიდრეობა საქართველოში და საფერავის ექსკლუზიური ბოკალის შესაქმნელად ვისი მოწვევით ჩამოვიდა იგი საქართველოში, ამის გაგება მხოლოდ ნინო კაკიაშვილის სტატიიდან არის შესაძლებელი — „დოქიდან ბროლში";

• როგორი იყო ქართული ღვინისთვის „პროვეინ 2014", რატომ არის რუსული ბაზარი სარისკო და მიმზიდველი, როგორია ღვინის ინდუსტრიის მოლოდინი ახალი კანონმდებლობისადმი, — ამ მნიშვნელოვან თემებზე ღვინის ექსპერტების, მწარმოებლებისა თუ კანონმდებლების ძალიან საინტერესო მოსაზრებებს გაეცნობით ნინო ფაცურიას სტატიებში;

• ქვევრის ღვინო — გამოწვევა თუ რეალობა? — ამ საკითხის გარკვევაში მკითხველს გიორგი ბარისაშვილი ეხმარება;

• ვინ არის სომელიე, რას ნიშნავს სერვირება, დეკანტირება და როგორი უნდა იყოს ღვინის ბარათი? — ამ რჩევებს სომელიეთა ასოციაციის წევრები: თემო ბენიძე, ნანა ადამაშვილი და მაგდა გერაძე აძლევენ მკითხველებს;

გარდა ზემოთაღნიშნული თემებისა, მკითხველი კიდევ ბევრ საინტერესო და ორიგინალურ სტატიას იპოვის, თუნდაც სიგარაზე, ამერიკულ ტურიზმსა თუ დიდ ბრიტანეთში არსებულ ქართულ რესტორნებზე...

ამიტომ ვფიქრობ, რომ არ მოგეჩვენებათ ძალიან ბანალურად ჩემი რჩევა: აუცილებლად დააგემოვნეთ ჟურნალი „ღვინო" და თქვენი აზრიც უსათუოდ გაგვიზიარეთ! მოგვწერეთ ფოსტაზე nato2727@gmail.com an shalva.khetsuriani@gmail.com ან თუნდაც, გვეწვიეთ რედაქციაში: თბილისი, ბამბის რიგი №8 .

# როგორ გავასუფთავოთ ნიტრატებით „მოწამლული" ხილ-ბოსტნეული

**ზაფხული იდეალური სეზონია ჯანსაღი კვების მოყვარულთათვის. დიასახლისები აქტიურად ამარაგებენ ოჯახებს ნაი-ნაირი ხილ-ბოსტნეულით. ცდილობენ, ბავშვებმა რაც შეიძლება მეტი ცოცხალი პროდუქტი მიიღონ და ორგანიზმი ვიტამინებით გაიძლიერონ. სამწუხაროდ, ყველა ხილი და ბოსტნეული არ არის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო. კარგად ვიცით, რომ არათუ იმპორტირებული, ადგილობრივი პროდუქციაც პესტიციდებითა და ნიტრატებითაა გაჟღენთილი. გასწავლით რამდენიმე ხერხს, თუ როგორ შეამციროთ ხილ-ბოსტნეულში ამ საშიში ნივთიერებების შემცველობა.**



**კომბოსტოში** ნიტრატები ყველაზე დიდი რაოდენობით კონცენტრირებულია გარეთა ფურცლებსა და კომბოსტოს მკვრივ გულში, ამიტომ ეს ნაწილები უნდა მოაჭრათ.

**კარტოფილში** ქიმიური ნივთიერებები კანქვეშ და ბოლქვის შუაგულში გროვდება. ამიტომ წამოდუღებისთანავე წყალი გამოუცვალეთ. კერძებში კი უმჯობესია წინასწარ წამოდუღებული კარტოფილის ნაჭრები ჩაყაროთ.

**კიტრი, ბადრიჯანი, ყაბაყი** — კიტრი ღია მწვანე ფერის უნდა იყოს, თუ ძალიან მუქი შეფერილობა აქვს, ეს ნიტრატების მაღალ შემცველობაზე მიანიშნებს. ყაბაყსა და ბადრიჯანს კი კანი მოაცილეთ და ამოაჭერით თესლები — ეს მავნე ნივთიერებების ბუდეა.

**მწვანილი, სალათის ფურცლები** — ყველაზე ბევრი ქიმიური ნივთიერება მათ ფოთლებში გროვდება. მწვანილი ყველაზე უხვად ითვისებს ნიტრატებს და ამიტომ გამოყენებამდე ერთი საათის განმავლობაში გამდინარე წყალში უნდა იდოს.

**პომიდორი** — მისი ყიდვისას დააკვირდით კანის სისქეს, რაც უფრო სქელია პომიდვრის კანი, მით მეტ ქიმიურ ნივთიერებას შეიცავს. არ შეიძინოთ მონარინჯისფრო ნაყოფი, რაც არ უნდა იაფი ღირდეს ის. გამყიდველს აუცილებლად გააჭრევინეთ პომიდორი და თუ შიგნით მოთეთრო რბილობი და სქელი ძარღვები შენიშნეთ, ეს იგი დიდი რაოდენობით შეიცავს ქიმიურ ნივთიერებებს. თუ მხოლოდ შინ მიტანისას აღმოაჩინეთ ეს, ამ შემთხვევაში პომიდორი ერთი საათით გააჩერეთ ცივ წყალში.

**სტაფილო, ჭარხალი, ბოლოკი** — ბოლქვა მცენარეების თავი და დაბოლოება ნიტრატების ნამდვილი ბუდეა. გამოყენების წინ ეს ნაწილები მოაჭერით. სტაფილოს ერთი სანტიმეტრის სიმაღლეზე აუცილებლად მოაცილეთ წვეტი, გამწვანებული უბნებიც უნდა მოაჭრათ, იქაც ქიმიკატები „ბუდობენ".

**ყურძენი** — შენახვის ვადის გახანგრძლივებისთვის მას ნივთიერება ფუნგიციდით ამუშავებენ. ეს ნივთიერება რომ მოვაცილოთ, ამისათვის სოდიან წყალში უნდა გავრეცხოთ, შემდეგ კი სუფთა წყალი გადავავლოთ. საერთოდ, ნებისმიერ ხილ-ბოსტნეულს მოუხდება სოდაში გარეცხვა.

**საზამთრო** — პირველ რიგში, უარი თქვით ტრადიციაზე და არასოდეს გააჭრევინოთ საზამთრო გამყიდველს. ეს ბაქტერიების გამრავლების შესანიშნავი წყაროა. თუ ძალიან მსხვილი და ოდნავ მოყვითალო კურკები აქვს, ე.ი. ქიმიურად არის გამდიდრებული. შეგიძლიათ მარტივი ტესტიც ჩაატაროთ — საზამთროს რბილობი ერთი წუთით წყლით სავსე ჭიქაში მოათავსეთ. თუ წყალმა ფერი შეიცვალა, ესე იგი ქიმიურ ნივთიერებებს შეიცავს. თუ წყალი მხოლოდ აიმღვრა — „სუფთაა".

**ვაშლი და მსხალი** — თუ ხელში აღებისას გრძნობთ, რომ მეტისმეტად გლუვი და სრიალა კანი აქვს, ეს იგი იერსახის შესანარჩუნებლად დიფენილომით დაამუშავეს. აშშ-სა და ევროკავშირში დიფენილომი ძლიერი კანცეროგენული და ალერგიული შემადგენლობის გამო აკრძალულია. ასეთი ხილი გაუთლელად არ უნდა მიირთვათ.

ეცადეთ, არც თავად მიირთვათ და, რაც მთავარია, არ შესთავაზოთ ბავშვებს ხილ-ბოსტნეული, რომელთა ბუნებრივი მწიფობის სეზონი ჯერ არ დამდგარა. ძალიან ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ ზამთარში კიტრსა და პომიდორში სამმაგი ფასის გადახდით ბავშვისთვის კარგ საქმეს აკეთებთ. ყველაზე დაბინძურებული ხილ-ბოსტნეული მსოფლიოს ბაზრებზე თურქეთიდან, ჰოლანდიიდან, ისრაელიდან და ეგვიპტიდან ხვდება. მათი მიწა საკმაოდ მწირია და ქიმიური დამუშავების გარეშე მდიდარ მოსავალს არ იძლევა.

mshoblebi.ge

MEGA CREDIT
ფულადი გზავნილები
ქუთაისი, რუსთაველის 141. (0 431) 27 52 45; ჭავჭავაძის 55/2. (0 431) 27 67 10